

ტესტი ისტორიაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა იყო ათენში სოლონის რეფორმების ერთ-ერთი შედეგი?

- ა) ოლიმპოელი ღმერთების კულტის საბოლოო დამკვიდრება;
- ბ) ათენის მეთაურობით საბერძნეთის პოლიტიკური გაერთიანება;
- გ) საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურის დაწესება;
- დ) ვალების გამო თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვის აკრძალვა.

2. რომელი ენა ითვლებოდა აქემენიანთა იმპერიაში საერთაშორისო ენად, რომელსაც ამავე დროს იყენებდნენ სახელმწიფო კანცელარიებში?

ა) არამეული;

ბ) ფინიკიური;

გ) შუმერული;

დ) აქადური.

3. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა კართაგენელთა სამხედრო წარმატება II პუნიკური ომის საწყის ეტაპზე?

- ა) ჰანიბალის მეტაურობით კართაგენელთა მიერ ალპების ქედის გადალახვამ და აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრამ;
- ბ) ჰასდრუბალის თაოსნობით კართაგენელთა მიერ დიდი სამხედრო ფლოტის აგებამ და ზღვიდან ქალაქ რომის მისადგომებთან გადმოსხდომამ;
- გ) კართაგენელთა მიერ ქალაქ რომის ხანგრძლივმა ალყამ, რისთვისაც რომაელი სარდლები მზად არ იყვნენ;
- დ) რომში რესპუბლიკური და მონარქიული წყობის მომხრეებს შორის მიმდინარე სასტიკმა სამოქალაქო ომმა.

4. რა მოხდა იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ?

- ა) რომში აღდგა სენატი;
- ბ) რომში ძალაუფლება პომპეუსმა აიღო;
- გ) რომი იმპერიად იქცა;
- დ) რომი ჰუნების მეფემ დაიპყრო.

5. რომელი ისტორიული მოვლენა უკავშირდება ქართლის მეფის ფარსმან II-ის სახელს?

- ა) ალბანეთში ლაშქრობა და იქ ქართლის სამეფო დინასტიის წარმომადგენლის გამეფება;
- ბ) კავკასიაში შემოჭრილი ჰუნების დამარცხება და კავკასიონის უღელტეხილების გამაგრება;
- გ) ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოება და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება;
- დ) პონტოს სამეფოსთან პოლიტიკური კავშირი და რომის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა.

6. ვინ ესწრებოდა 325 წელს გამართულ ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებას?

- ა) ბიჭვინთის ეპისკოპოსი;
- ბ) ქართლის ერისმთავარი;
- გ) მცხეთის კათოლიკოსი;
- დ) ლაზიკის პატრიკოსი.

7. რომელ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს ატარებდნენ შუა საუკუნეებში ქართველი მეფეები?

ა) კურაპალატის;

ბ) პიტიახშის;

გ) ვიპატოსის;

დ) დომესტიკოსის.

8. რომის პაპის მოწოდების გათვალისწინებით, რა შეიძლება, მივიჩნიოთ ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების უმთავრეს მიზნად?

- ა) ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან არაბთა განდევნა;
- ბ) პალესტინის ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენა;
- გ) წმინდა მიწის მუსლიმთაგან გათავისუფლება;
- დ) ბიზანტიის წმინდა საყდრისათვის დაქვემდებარება.

9. რა უკავშირდება იგნასიო ლოიოლას მოღვაწეობას?

- ა) ბრძოლა ინვესტიტურისათვის;
- ბ) იეზუიტთა ორდენის შექმნა;
- გ) რეფორმაციის დაწყება ესპანეთში;
- დ) ჰუმანიზმის პრინციპების ჩამოყალიბება.

10. რომელმა სახელმწიფომ წამოიწყო პირველად ახალი სანაოსნო გზების ძიება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში?

ა) ინგლისმა;

ბ) საფრანგეთმა;

გ) ნიდერლანდებმა;

დ) პორტუგალიამ.

11. რომელი მსჯელობა არ არის მართებული პეტრე I-ის მოღვაწეობასთან დაკავშირებით?

- ა) ომის დასაწყისში განცდილი მარცხის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც დაამარცხა შვედეთი და მოიპოვა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე;
- ბ) ქართლის მეფესთან ერთად დაგეგმა და მოაწყო წარმატებული ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე;
- გ) ბევრს ზრუნავდა რუსეთში მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე და მის დროსვე დაარსდა პირველი რუსული გაზეთი;
- დ) ბალტიის ზღვის ნაპირზე მდინარე ნევის შესართავთან დაიწყო ახალი ქალაქის მშენებლობა, რომელიც შემდეგ დედაქალაქად აქცია.

12. რა იყო XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში იაკობინელების მოსვლის ერთ-ერთი მიზეზი?

- ა) დირექტორიის დამხობა;
- ბ) ჟირონდისტების პოლიტიკა;
- გ) იმპერიის აღდგენის საშიშროება;
- დ) განმანათლებლების მოღვაწეობა.

13. ბრიტანეთის ჩრდილო ამერიკულ კოლონიებში მომხდარი რომელი ისტორიული მოვლენა უკავშირდება ჯორჯ ვაშინგტონის მოღვაწეობას?

ა) მონობის გაუქმება;

ბ) ქალთა ემანსიპაცია;

გ) ქონებრივი ცენზის გაუქმება;

დ) ომი დამოუკიდებლობისათვის.

14. რომელ ბრძოლაში დაამარცხა ინგლისელებისა და პრუსიელების გაერთიანებულმა ჯარმა საფრანგეთის იმპერიის ჯარი?

- ა) ვალმის;
- ბ) ბოროდინოს;
- გ) ვატერლოოს;
- დ) მარენგოს.

15. რა იყო პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი შედეგი?

- ა) მონარქიული წყობის დამხობა მთელ დასავლეთ ევროპაში;
- ბ) აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური ბანაკის შექმნა;
- გ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბება;
- დ) ევროპაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველ საბერძნეთთან დაკავშირებული მოვლენები:

1. მარათონის ბრძოლა;
2. კლისთენეს რეფორმა;
3. პელოპონესის ომი.

17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნეში ევროპაში მომხდარი მოვლენები:

1. პრუსია-ავსტრიის ომი;
2. უნგრეთის აჯანყება ჰაბსბურგთა წინააღმდეგ;
3. გარიბალდის სამხედრო ექსპედიცია სიცილიაზე.

18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:


1. დამფუძნებელი კრების არჩევნები;
2. ერთა ლიგაში მიღების საკითხის განხილვა;
3. ეროვნული ყრილობის მოწვევა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





გაზაფხულზე ოსმალთა ლაშქარმა სულთან სულეიმან I-ის მეთაურობით ბანაკი დატოვა და ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. წვიმიანი ამინდები და გაუვალი გზები გადაადგილებას ართულებდა. ბევრი ზარბაზანი ტალახში ჩაეფლო და იძულებული გახდნენ ყველაზე დიდი და მძლავრი ზარბაზნები გზაზე მიეტოვებინათ, გავრცელდა არაერთი ავადმყოფობა, დაიხოცა პირუტყვი. სექტემბრის ბოლოს ლაშქარმა ქალაქამდე მიაღწია. დაიწყო ალყა. ოსმალთა ყველა მცდელობა, რომ ქალაქი აეღოთ, მარცხით დასრულდა, ვერც ქალაქის კედლების მთლიანად ჩამონგრევა მოხერხდა. ამინდიც გაუარესდა, საკვებიც ილეოდა. ჯარში უკმაყოფილებამ იმატა. სულეიმანმა სამხედრო თათბირი მოიწვია. გადაწყდა, ერთხელაც ეცადათ ბედი და ბოლო იერიში მიეტანათ. გამარჯვების შემთხვევაში ჯარისკაცებს დიდი ჯილდო აღუთქვეს, წარუმატებლობის შემთხვევაში კი ალყას მოხსნიდნენ და უკან დაბრუნდებოდნენ. 14 ოქტომბერს ოსმალები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

კითხვები:

(1) **19.1.** რომელი ქალაქის ალყაა აღწერილი წყაროებში?

(1) **19.2.** რატომ ვერ მოახერხეს ოსმალებმა ქალაქის კედლების მთლიანად ჩამონგრევა?

(1) **19.3.** სრულად ჩამოთვალეთ, რა გადაწყვიტეს ოსმალებმა სამხედრო თათბირზე.


(1) **19.4.** წარმატებით დასრულდა თუ არა ქალაქის ალყა და რა ინფორმაცია ადასტურებს თქვენს მოსაზრებას?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

კითხვები:


(2) **20.1.** რა სახის ბეჭდური პროდუქციაა ასახული ილუსტრაციაზე? თქვენი მოსაზრება დაადასტურეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.


(2) **20.2.** რა ეწოდებოდა ოფიციალურად სახელმწიფოს, სადაც შეიქმნა ილუსტრაციაზე ასახული ბეჭდური პროდუქცია? ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ის თქვენ მიერ დასახელებულ სახელმწიფოში შეიქმნა?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** დაასახელეთ ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რუკაზე ასახულ ისტორიულ პროცესში.

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, რომელ ქალაქთან გაიმართა ბოლო ბრძოლა მეომარ მხარეებს შორის?

(1) **21.4.** რა მიუთითებს რუკაზე ასახულ სახელმწიფოში სატრანსპორტო კავშირების განვითარებაზე?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი ხალხის მიწაზე არ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები?

(2) **21.6.** რომელ სახელმწიფოში მიმდინარე რა ისტორიული პროცესია ასახული რუკაზე?

(2) **21.7.** რუკის მიხედვით, რომელი მეზობელი მხარე იყენებდა საომარი მოქმედებისას საზღვაო ძალებს და რუკაზე არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

(2) **21.8.** თქვენი აზრით, რომელი მეომარი მხარის უპირატესობით მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები და რუკაზე არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 22

VII საუკუნის ბოლოს ეგრისის მმართველი - სერგი ბარნუკისძე ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებას გეგმავდა. მან გადაწყვიტა, დახმარება არაბებისთვის ეთხოვა და ამ საკითხზე სათათბიროდ დიდაზნაურები მოიწვია. დიდაზნაურთა ნაწილი არაბებთან მოკავშირეობის მომხრე იყო, ნაწილი კი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც არაბებთან მოკავშირეობის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც არაბებთან მოკავშირეობის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

დავალება 23

1811 წელს იმპერატორმა ნაპოლეონ I-მა რუსეთის წინააღმდეგ საომრად მზადება დაიწყო. მისი თანამებრძოლების ერთი ნაწილი რუსეთში ლაშქრობის მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც რუსეთში ლაშქრობის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც რუსეთში ლაშქრობის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 24

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24

ძვ. წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელმა დიდი იმპერია შექმნა.

კითხვები:

- (1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.
- (1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 25

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



ნაწყვეტი „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“

შაჰ-თამაზის გამეფებისას თბილისის ციხე ლუარსაბ მეფეს ჰქონდა აღებული და გამაგრებული. შეიტყო ეს ამბავი შაჰმა, ფარულად შეკრიბა ჯარი და გამოემართა ლუარსაბის წინააღმდეგ. იმჟამად გარდაეცვალა ლუარსაბ მეფეს მცირეწლოვანი ვაჟი და მცხეთაში იყო წასული დასაკრძალად. იმ ღამით შემოვიდა თბილისში შაჰ-თამაზი. ღვთის განგებას რომ არ დაეფარა ლუარსაბი, ხელში ჩაუვარდებოდა მტერს. შაჰის შემოსევის ამბავი რომ გაიგო, თავშესაფარს მიაშურა და ჯარი ველარ შეკრიბა.

როცა თბილისის ციხისთავმა დაინახა ქალაქში მოულოდნელად შემოსული შაჰ-თამაზი, შეეშინდა ლუარსაბ მეფისა, არ დამსაჯოს მტრის შემოსევის ვერ შეტყობის გამო. გამოვიდა ციხიდან და ეახლა შაჰს.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ციხის მცველებმა რომ გაიგეს ციხისთავის წასვლა, ზოგიერთი მათგანი შინ წავიდა, ზოგიც შაჰ-თამაზს ეახლა. შაჰმა დაიპყრო თბილისის ციხე, გაამაგრა და თვითონ ყარაბაღში წავიდა.

მაინც არ შეწყვიტა შაჰმა ლუარსაბის მტრობა. ქართლზე იმიტომ იყო გადამტერებული, რომ მეფე არც ყაენს დაემონა და არც ხონთქარს. თუკი ისიც დაემორჩილებოდა, სხვა ყველა ისედაც დამონებული იყო, ქვეყანა გათათრდებოდა და მოხარკედ გადაიქცეოდა.

გამოემართა ლუარსაბის წინააღმდეგ. ჩამოიარა თრიალეთი და ააოხრა. მოვიდა და მოადგა ბირთვისის ციხეს. ციხის სიმტკიცე რომ დაინახა, დაეთათბირა მეციხოვნე ბარათაშვილებს, ბევრი წყალობა აღუთქვა და მიინდო ისინი. მერე კი ზოგი აღარ დაინდო და დაატყვევა, ზოგსაც თავისი მამული დაუმტკიცა.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.

შემდეგ შაჰ-თამაზი გადავიდა გორში. აიღო გორის ციხე. მერე მიადგა ატენის ციხეს, რადგან მასში იმყოფებოდა ლუარსაბ მეფის დედა და მრავალი თავადი მათი ოჯახებით. აიღო ატენის ციხე. ყველანი დაატყვევა და წავიდა. როცა ერევანში ჩავიდა შაჰი, მაშინ მიხვდა ლუარსაბის დედა, რა შეურაცხყოფაც მოელოდა, საწამლავი დალია, თავი მოიკლა და არ დაამცირებინა თავი.

შაჰმა ყაზახში და შამშადილში თავისი ხანი დასვა. ხანები დასვა ასევე განძასა და შაქში. განძის ხანი დაადგინა უფროსად და დაავალა: „თუკი ლუარსაბ მეფემ თბილისის ციხეს ბრძოლა დაუწყოს, თქვენ უნდა დაეხმაროთ თბილისის ციხის მცველებსო“.

ლუარსაბი დამწუხრებული იყო იმის გამო, რომ თბილისის ციხე და მისი შემოგარენი ადგილები მტერს

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ჰქონდა დაპყრობილი. შეკრიბა მხედრობა და წამოვიდა მათ წინააღმდეგ. რაც კი ადგილები და ციხესიმაგრეები ეჭირათ, წაართვა და ყოველ მათგანს თვითონ დაეუფლა, თბილისის ციხის გარდა. ეს შეიტყო განძის ხანმა შავერდიმ, შეკრიბა ჯარი, ყველას მოუყარა თავი, ვის შესახებაც შაჰ-თამაზს ჰქონდა ნაბრძანები და წამოვიდა ლუარსაბის წინააღმდეგ. ერთმანეთის პირისპირ რომ აღმოჩნდნენ, ლუარსაბ მეფემ ველზე შებრძოლება არ ისურვა, გარისში გადავიდა. ყიზილბაშები უკან გაჰყვნენ. მაშინ ლუარსაბი დაუძღვრებული იყო მოხუცებულობის გამო. თავის ძეს სვიმონს გაატანა ლაშქარი, თვითონ კი უკან დადგა ამაღლის თანხლებით. როგორც კი სვიმონ ბატონიშვილმა და მისმა მეომრებმა დაინახეს მტერი, შეუტყეს. თავგამეტებით იბრძოდნენ, ურიცხვი ყიზილბაში ამოწყვიტეს და გააქციეს მათი ლაშქარი.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.

შავერდი ხანი და სხვა ყიზილბაში მხედრები გაიქცნენ და ტყეებში გაიფანტნენ. შეშინებული დაეხეტებოდნენ ტყეში და მაშინ გადაეყარნენ მცირე ამალით მდგომ ლუარსაბს. მეტი გამოსავალი არ ჰქონდა ხანს და შემოუტია ლუარსაბს. გაჩაღდა ბრძოლა. გააქციეს შავერდის რაზმი და მრავალ მათგანს გაავლეს მუსრი. დაინახა მეფემ ხანი. შუბიც გადამტვრეული ჰქონდა მეფეს და სხვა ყველა საბრძოლო იარაღი დაღეწილი. ცხენით შეუტია, თავისი მერანი აძგერა შავერდის ბედაურს, დაბლა დასცა ცხენიცა და მხედარიც. შემდეგ სხვასაც შეუტია. გზაზე რაღაც თხრილი დახვდა. მიწის ნაპრაღში ჩაუვარდა ფეხი მეფის ცხენს. ცხენი წაექცა ლუარსაბს.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მიეჭრა ვიღაც ყიზილბაში, ჩასცა მახვილი და სასიკვდილოდ დაჭრა მეფე. თვითონ მოახტა ლუარსაბ მეფის ცხენს და გაქუსლა. გამოედევნენ ქართველები, დაეწივნენ, ისიც მოკლეს, ხანიც და ვინც კი ყიზილბაში გადაეყარათ, ამოწყვიტეს.

სვიმონი ყიზილბაშებს დევნიდა. მიუტანეს მეფის ამბავი და მოვიდა მამამისთან. ლუარსაბმა რამდენიმე დღე კიდევ იცოცხლა და გარდაიცვალა ლუარსაბი - ვახტანგ გორგასალის მსგავსი წამებული მეფე. ამდენი რომ არ ებრძოლა მეფე ლუარსაბს, ახლა საქართველო მთლიანად გათათრებული იქნებოდა. რაც კი დღეს საქართველოს სახელი და დიდებაა, სულ მისი ხმლის დამსახურებაა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

(„ქართლის ცხოვრების“ ადაპტირებული ვერსიის მიხედვით. გამომცემლობა „ახალი ივერონი“. ტ. 3. თბილისი 2012 წ.)

კითხვები:

- (1) **25.1.** რომელ სამეფოს განაგებდა წყაროში დასახელებული ლუარსაბი?

- (1) **25.2.** წყაროს მიხედვით, რა მიიჩნია მემატთანემ ღვთის განგებად, რამაც დაიფარა მეფე?

- (1) **25.3.** წყაროს მიხედვით, რატომ არ შეასრულეს თბილისის ციხის მცველებმა საკუთარი მოვალეობა?

- (1) **25.4.** წყაროს მიხედვით, ლუარსაბ მეფის რა კონკრეტულმა ქმედებამ გამოიწვია განძის ხანის გამოლაშქრება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **25.5.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, რატომ იყო შაჰისთვის მნიშვნელოვანი ატენის ციხის აღება?

(1) **25.6.** წყაროში არსებული რა ინფორმაცია მიუთითებს, რომ მეფემ სასტიკი ხელჩართული ბრძოლა გადაიხადა?

(1) **25.7.** რა იგულისხმება მემატიანის სიტყვებში, რომ ლუარსაბ მეფე ვახტანგ გორგასალივით წამებული იყო?

(2) **25.8.** წყაროს მიხედვით, რატომ გამართა მოლაპარაკება შაჰმა ბირთვისის ციხის დასაუფლებლად დავისთან?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** წყაროს მიხედვით, ვის და ვის არ დაემონა მეფე ლუარსაბი და როგორი იყო ამ მხრივ სხვა ქართველი მეფე-მთავრების პოზიცია?

(2) **25.10.** წყაროს მიხედვით, სად არ ისურვა მეფემ მტერთან შებრძოლება და თქვენი აზრით, რატომ იყო ასეთი ადგილი მისთვის მიუღებელი?

(2) **25.11.** წყაროს მიხედვით სრულად ახსენით, თუ რატომ არ უსარდლა მეფემ ჯარს ბრძოლაში და ვის ანდო ეს საქმე?

(2) **25.12.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაასახელეთ ორი შედეგი, რომელიც მეფე ლუარსაბის ბრძოლამ ქვეყანას მოუტანა.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)